

უკრაინაში სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიება არ შეწყდება



“მიუხედავად მიხეილ სააკაშვილის უკრაინიდან გაძევებისა მის წინააღმდეგ მიმდინარე გამოძიება გრძელდება” განაცხადა უკრაინის გენერალურმა პროკურორის პრესმდივანმა დარისა სარგანმა განაცხადა. ინფორმაციას 1tv.ge ავრცელებს.

პროკურატურაში აღნიშნეს, რომ მათთვის მოულოდნელი იყო სააკაშვილის პოლონეთში გაძევების ოპერაცია, რომელიც უკრაინის სასამართლო სამსახურმა ჩაატარა, რადგან მესამღვრეებს ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურატურისთვის არ შეუტყობინებიათ. სარგანის თქმით, უკრაინაში სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიება დახურული არ არის.

მიხეილ სააკაშვილი 12 თებერვადს, კიევში, რესტორან “სურგუნში” უკრაინის სასამართლო სამსახურის სპეცრაზმმა დააკავა და მარევე პოლონეთში გაამგზავრა ანუ ქვეყანაში, საიდანაც ოფიციალური კიევის აზრით უკრაინაში უკანონოდ შეიჭრა. მოგვიანებით სააკაშვილი უკრაინურ მედიას ინტერვიუ მისცა და დაუდასტურა რომ ვარშავაშია, ასევე განაცხადა, რომ ძალიან უხეშად მოექცნენ, მაშინ როდესაც პოლონური მესამღვრეები პირიქით, ძალიან თავაზიანები იყვნენ და ჰკითხეს, ხომ არ გამოიყენეს მის მიმართ ძალა.

“მე ვფიქრობ, რომ სააკაშვილის დეპორტაცია ევროპაში პოლონეზის სასურველ მიზნებს არ მოუტანს. მიშას დეპორტაციით ისტორია არ

დასრულებულია. ბანკოვიაში მიაჩნიათ, რომ მოიშორეს სააკაშვიდი, მოაშორეს ის უკრაინის ტერიტორიას და ამით საპროტესტო მოძრაობა ჩაწყნარდება. პირიქით, რეაღწერა სააკაშვიდის დეპორტაცია პროტესტის რადიკალიზაციას გამოიწვევს. საპროტესტო აქციების რიდერობის ადგილის დაკავებისთვის უკვე რიგი დადგა, ხოლო ხარბში დიდი საპროტესტო მუხტია დაგროვილი, რაზეც სოციალურ მედიის უმრავლესობა საუბრობს. მარტის დასაწყისში მოსალოდნელია აქციების ახალი ტალღა, რომელსაც ადრე «Батьківщина» ჩაუდგება სათავეში, ვადამდელი არჩევნებისა და პარლამენტის იმპიჩმენტის მოთხოვნით. არჩევნები იმაზე ახლა, ვიდრე გვჩნიათ, – განაცხადა უკრაინელი ჟურნალისტი ვიტალი კურიკმა.

მიხეილ სააკაშვიდი კიევის პერსონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის 11 დეკემბერს პატიმრობიდან გათავისუფლდა. მანამდე ის ორჯერ დააკავეს. 26 იანვარს კიევის სასამართლომ სააკაშვიდს ღამის საათებში სახლიდან გასვლა აუკრძალა. განაჩენი 6 თებერვამდე იყო ძალაში.